ტიხრული მინანქარი

პროგრამის მიზანია მსმენელს შეასწავლოს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა, სამუშაო ადგილის ორგანიზაცია, ტიხრული მომინანქრების ტექნოლოგია: სპილენძისა და ვერცხლის ზედაპირის მომზადება, ტიხრების დამზადება და დამაგრება ლითონის ზედაპირზე, მინანქრის საღებავების მომზადება და დადებას ტიხრებში, მინანქრის ნაკეთობების თბური და მექანიკური დამუშავება.

პროგრამაში ისწავლება:

- ✓ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
- ✓ სამუშაო ადგილის ორგანიზაცია;
- ✓ ტიხრული მინანქრის ტექნოლოგიის გამოყენება: სპილენძის ტიხრული მინანქრის პანოს დამზადება, ვერცხლის მედალიონის (ბრტყელ მზა სხმულში) ტიხრული მინანქრის დამზადება შემდეგი ეტაპების გათვალისწინებით:
- ✓ სხვადასხვა ლითონის ზედაპირის მომზადება მომინანქრებისათვის (სპილენძი, ვერცხლი);
- ✓ ტიხრების დამზადება მზა ესკიზის მიხედვით;
- ✓ ტიხრების დამაგრება ლითონის ზედაპირზე;
- ✓ მინანქრის საღებავის დადება;
- ✓ ფერთა პალიტრის შედგენა;
- ✓ მინანქრის დადება;
- ✓ მინანქრის გაშრობა, გამოწვა, გაცივება
- ✓ მზა ნამუშევარის დამუშავება (გაქლიბვა, გაპრიალება), დეფექტების აღმოფხვრა

გამოყენებული მეთოდები:

პროგრამის სწავლებისას გამოიყენება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ფორმატი, პრაქტიკული უნარების გამომუშავებით, ადგილზე დასწრებით

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მინიმალური ასაკი 18 წელი;
- ქალაქ თბილისში რეგისტრაცია;

პროგრამაზე მოხვედრის ეტაპები:

- დოკუმენტაციის გადარჩევა;
- გასაუბრება

სწავლების ვადა: 2 თვე

დასაქმების სფერო:
მინანქრის სახელოსნო, თვითდასაქმება